პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 281 (10978)

პარასკევი, 29 ნოემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ნ. ბულგანინის დეპეშა დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი (1-ლი გვერდი).

კ. ვოროშილოვის დეპეშა დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი (1-ლი გვერდი).

ნ. ხრუშჩოვის დეპეშა დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი (1-ლი გვერდი).

საქართველოს მშრომელები თავდადებული შრომით განამტკიცებენ მშვიდობას (1-ლი გვერდი).

პარტიულ კონფერენციებზე. — **გ. გელაშვილი.** — კვლავ ძველებურად (მე-2 გვერდი).

ა. ირემაძე, ი. ხუციშვილი. — „სახალხო კაპიტალიზმის“ მქადაგებელთა იაფფასიანი ხრიკები (მე-2 გვერდი).

ა. ქოჩინიანი. — საბჭოთა სომხეთის 37 წელი (მე-2 გვერდი).

ვაზი ჩვენი დოვლათის წყაროა. — **ჯ. გეგეშიძე.** — კომუნისტები — ავანგარდში; **ვ. კვანტრიშვილი.** — ჩვენი შეძლებულობის წყარო; **ვ. ჩაჩუა.** — ჰექტარზე 210 ცენტნერი ყურძენი; **ს. უანჩაველი.** — ფართო ჩვენებით; **ნ. ფულარიანი.** — სიტყვა და საქმე; **ა. მიროტაძე.** — ყურადღება ვაზის სელექციას; **შ. ჭოტაია, გ. ხუსკივაძე.** — პირობას დროულად [illegible] ბენ (მე-3 გვერდი).

გ. ჩიბურდანიძე. — [illegible] ნული დღესასწაული (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მევენახეთა საბრძოლო ამოცანა

მევენახეობას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევენ, მაგრამ ამ დარგის ნამდვილი აღორძინება ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით მევენახეობა გადაიქცა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად, ბევრი კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითად წყაროდ. საუკეთესო ქართველმა ღვინოებმა და ყურძნის სამრეწველო ჯიშებმა ჩვენს რესპუბლიკას მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი.

1957 წლისათვის 1921 წელთან შედარებით საქართველოში ვენახების ფართობი ერთიორად გაიზარდა და 60.604 ჰექტარს მიაღწია.

ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა, გაბედულად ნერგავს რა წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს, წლითიწლობით ზრდის ყურძნის მოსავლიანობას.

აგროტექნიკური წესების ზუსტად განხორციელება, შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, ყურძნის დამზადების სახელმწიფო ფასების გადიდება, კოლმეურნეთა მატერიალური წახალისების ღონისძიებათა დანერგვა — აი ის მძლავრი ფაქტორები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ხელი შეუწყეს ჩვენს რესპუბლიკაში ყურძნის მოსავლიანობის მკვეთრ ამაღლებას.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდების არსებულ შესაძლებლობას ყველგან ჯეროვნად როდი იყენებენ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ზოგან შეეჩვივნენ გადიდებული ვალდებულებების აღებას და შემდეგ მათ შეუსრულებლობას. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფელ მოხისის კოლმეურნეობაში სისტემატურად არღვევენ მევენახეობის აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ყოველწლიურად ყურძნის დაბალ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მორჩილაძე მევენახეობის განვითარებისათვის თავს არ იწუხებს. მსგავსი მდგომარეობაა ამ რაიონის სოფელ ოქროსოფლის და სხვა კოლმეურნეობებში. პარტიის ქარელის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ამ დარგის განვითარებას.

ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის მითითებებით უახლოეს წლებში ჩვენს ქვეყანაში ხილისა და კენკრის სიუხვის შექმნის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით დასახეს ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების ფართობების შემდგომი ზრდისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

ახალი ვენახების გაშენება მოხდება ძირითადად ძვირფასი სამრეწველო ჯიშებით, დიდ მასივებზე, რაც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ყველა შრომატევადი სამუშაოს კომპლექსური მექანიზაცია.

შარშან საქართველოში ახალი ვენახების გაშენების გეგმა მხოლოდ 71 პროცენტით შესრულდა. თუ გურჯაანის, თელავის, მაიაკოვსკის, საჩხერის რაიონებმა გასულ წელს გადაჭარბებით გაანაღდეს ახალი ვენახების გაშენების დავალებები, ეს არ ითქმის საგარეჯოს, ახმეტის, ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობებზე, სადაც გეგმები სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. ზოგიერთ რაიონში ახალი ვენახების გაშენების მდგომარეობა წელსაც არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში ახალი ვენახების გაშენების მიმდინარე წლის დავალება ჩაშალეს. აქ ბევრგან ნიადაგი მომზადებულია ვენახის გასაშენებლად, მაგრამ სარგავი მასალა არა აქვთ.

ამოცანა ის არის, რომ ყველა ღონისძიებით დავაჩქაროთ ნიადაგის მომზადება, მთლიანად უზრუნველვყოთ კოლმეურნეობები სარგავი მასალით, შევასრულოთ ვენახების გაშენების დავალებები, შემდეგ კი გულმოდგინედ მოვუაროთ ახალგაშენებულ ვენახებს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფენ, რომ ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები — რიგთა შორის ღამუშავება, სასუქების შეტანა, მეჩხერი ვენახების რემონტი. ასეთ მდგომარეობას არ შეიძლება შევურიგდეთ.

ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ფართოდ აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი. ჩვენი სამშობლო არსებობის მეხუთე ათეულ წელიწადში შევიდა. ხალხის მასების ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა. საქართველოს მშრომელები გამსჭვალული არიან ომის რწმენით, რომ მიმდინარე ათეულ წელიწადში მოიპოვებენ ახალ და ახალ მიღწევებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

მივცეთ სამშობლოს 1958 წელს მეტი ყურძენი! — ამ ლოზუნგით იბრძვიან ახლა საქართველოს კოლმეურნეები და სოფლის მექანიზატორები.

დეპეშა

მის აღმატებულებას გატონ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

დიდად ვწუხვარ თქვენს ავადმყოფობას. სულით და გულით გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.

კ. ვოროშილოვი.

მოსკოვი, 1957 წლის 27 ნოემბერი.

დეპეშა

მის აღმატებულებას გატონ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

შემაწუხა თქვენი ავადმყოფობის ამბავმა. გულწრფელად გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.

ნ. ბულგანინი.

მოსკოვი, 1957 წლის 27 ნოემბერი.

დეპეშა

მის აღმატებულებას გატონ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

დიდად შემაწუხა ცნობამ თქვენი ავადმყოფობის შესახებ. გულწრფელად გისურვებთ სულ მალე გამოჯანმრთელებას.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, 1957 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია 1957 წლის 19 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 28 ნოემბერი.

საქართველოს მშრომელები თავდადებული შრომით განამტკიცებენ მშვიდობას

★ ★ ★

ჩვენ ვიწონებთ მშვიდობის მანიფესტს

მარიამ ბალანჩივაძე
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

ჩვენთვის, მასწავლებლებისათვის, განსაკუთრებით საყვარელია ახალგაზრდობა. იგი კომუნისტური წყობილების მომავალი მშენებელია. ბავშვები ანბანის სწავლასთან ერთად სწავლობენ სიტყვა „მშვიდობას“.

ორმოც წელზე მეტია, რაც პედაგოგიურ ასპარეზზე ვმოღვაწეობ, მრავალი ღირსეული მოქალაქე აღმიზრდია. მომსწრე ვარ ორი მსოფლიო ომისა. ჩემი აღზრდილი მრავალი მოსწავლე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ღირსეულად იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები ვოცნებობთ, რომ მომავალმა თაობამ იცხოროს ბედნიერად და მშვიდობიანად.

ომი ახალგაზრდობის მტერია. იგი არ უნდა მოხდეს!

გიორგი ჩახნაშვილი
თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის სახარატო საამქროს ხარატი

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლის საიუბილეო თარიღისათვის ჩაის საკრეფი ახალი მანქანა გამოუშვა. ამ მანქანის ერთ-ერთ დეტალს ვახარატებ. ქარხნის ეს პროდუქცია გაიგზავნება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ჩაის პლანტაციებში. ვდგავარ რა მშვიდობის ვახტზე, ყოველთვიურ დავალებას 200 პროცენტით ვახრულებ.

ჩვენში ლითონი მშვიდობის საქმეს ემსახურება. საბჭოთა ხალხს ომი არა სურს. ომი იმპერიალისტების გამდიდრების წყაროა. ჩვენი, საბჭოთა ადამიანების, სურვილია მშვიდობა იყოს მთელ მსოფლიოში, მაგრამ თუ იმპერიალისტები გაბედავენ და წამოიწყებენ ახალ ომს, მათ საკადრის პასუხს გავცემთ.

გიორგი ჩახნაშვილი

— მთელ მსოფლიოში იყოს მშვიდობა!

გივი კვიპიძე
„მთავართბილისმშენის“ VI სამშენებლო სამმართველოს ინჟინერი

ბავშვობიდან კარგად მახსოვს, რომ საბურთალოზე, სადაც ორი 38-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ვხელმძღვანელობ, წინათ უკაცრიელი ადგილი იყო. ახლა ქალაქის ამ მიდამოებში ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა მთავრდება. მშენებლობას, რომელსაც ვხელმძღვანელობ, ამ წლის ბოლოსათვის დავამთავრებ. აქ იცხოვრებენ კეთილი ნების ადამიანები, ბედნიერი ოჯახები. ჩვენ, მშენებლები, კვლავ შევუდგებით ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. იმპერიალისტები კი ფიქრობენ ახალი ომის გაჩაღებას. მაგრამ ეს არ მოხდება!

გივი კვიპიძე

— აქ იცხოვრებენ კეთილი ნების ადამიანები.

ნორა მარუაშვილი
რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნერვულ სნეულებათა განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ომი! როგორ შემზარავად გაისმის, რა შემაძრწუნებელია ეს სიტყვა. რამდენი უბედურება მოაქვს მას პატიოსანი ადამიანებისათვის. დიდი სამამულო ომის წლებში, საევაკუაციო ჰოსპიტალში, სადაც ვმუშაობდი, მრავალი დაჭრილი მებრძოლი განმიკურნია. კარგად მახსოვს თვალცრემლიანი დედები, ცოლები, შვილები, გულისფანცქალით რომ ელოდნენ მათს გაჯანსაღებას.

ჩვენი განყოფილების მთელი სამედიცინო პერსონალი დაუღალავად შრომობს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენისათვის. ვიცით ამ ადამიანთა ფიქრები და ზრახვები, ვიცით, რომ მათი მიზანია მომავალშიც ისე იშრომონ, როგორც შრომობენ დღეს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ნორა მარუაშვილი

— ნურასდროს ნუ აცრემლდებიან ჩვენი დედები.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტამ ნიუკი გეგმა შეასრულა

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის ხელმძღვანელები — შახტის უფროსი ა. ჭირაქაძე, საშახტო პარტიული ორგანიზაციის მდივანი ო. ჩელორია და საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჭითანავა დეკემბერ იტყობინებიან, რომ შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა შეასრულა 26 ნოემბერს პირველ ცვლაში.

მეშახტეებმა იკისრეს წლის ბოლომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი. ამით ისინი საკუთარ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაში.

ხალხებს ომი არ უნდათ

სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდის სასიხარულო ცნობები საბჭოთა ადამიანების გმირული შრომისა და წარმატებების შესახებ. ამ გამარჯვებებს, შეძლებულ ცხოვრებას, რომელიც მოპოვებულია მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში, საბჭოთა ხალხი მშობლიურ კომუნისტურ პარტიას უმადლის.

საყოველთაო-სახალხო შრომის ფერხულში აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც თავგამოდებით იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება სოციალიზმის ბანაკი, მრავლდება და ძლიერდება მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მტკიცდება და მონოლითური ხდება სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა.

სწორედ ამ მონოლითური ერთიანობის თვალსაჩინო დადასტურებაა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომლებიც გამსჭვალულია მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის, ხალხთა შორის ძმობისა და თანამშრომლობისათვის, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საკაცობრიო იდეებით. ამიტომ არის, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს მსურვალედ იწონებს ჩვენი მრავალმილიონიანი საბჭოთა ინტელიგენცია. დაე გაგონ კაციკაცია იმპერიალისტებმა, რომ მშვიდობის ძალები აუტანელია და ომის გაჩაღებელთა აგრესიული გეგმები განწირულია ჩაფუშვისათვის. ამის მტკიცე გარანტიაა სოციალიზმის ბანაკის სიმტკიცე და ძლიერება, მშვიდობისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელთა და ორგანიზატორთა — სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მონოლითური ერთიანობა, მათი მტკიცე გადაწყვეტილება — ბოლომდე შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ს. მეგრელიშვილი,
ბათუმის რევოლუციის მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

გადიდებული ვალდებულებანი

ახმეტა. (საკ. კორ.). სახელოვანი ქისტაურელი მეაბრეშუმე, სტალინური პრემიის ლაურეატი ოსანა აივაზაშვილი თავის საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებულ თუთის პლანტაციაში მუშაობდა, როცა ფოსტალიონმა გაზეთების ახალი ნომრები მიუტანა. ოსანას ყურადღება მიიქცია უაღრესად მნიშვნელოვანმა დოკუმენტებმა — კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა. იგი გულდასმით წაუკითხა მეზობლად მცხოვრებ მეაბრეშუმეებს და შემდეგ განაცხადა:

— დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ განუხრელად მტკიცდება სოციალიზმის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმური ერთიანობა. სულით და გულით ვუერთდები მთელი მსოფლიოს მშვიდობის მოყვარე ხალხთა ხმას, გავაძლიერებ მოშაობის ტემპს. წელს სახელმწიფოს გეგმის ზევით ასობით კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩავაბარე. მომავალ წელს კიდევ მეტ აბრეშუმს მოვიყვან.

დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს კმაყოფილებით შეხვდნენ ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები. ტრაქტორისტმა ირაკლი ხაშმელაშვილმა, რომელმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 4 ათასი კუბმეტრი მორის ნაცვლად ვადაზე თვენახევრით ადრე 5.200 კუბმეტრი გამოზიდა, თქვა:

— მანიფესტში ნათლად არის ნათქვამი, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. ეს სიტყვები ღრმად ჩაგვწვდა გულში. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მშრომელი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თანმიმდევრულად იბრძოლებს იმისათვის, რომ აღარ გამეორდეს ომის საშინელებანი.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები ერთსულოვნად მოიწონეს აგრეთვე ზემო და ქვემო ალვანის, მატნის, დუისის და სხვა სოფლების მშრომელებმა.

კრეფენ ციტრუსოვანთა ოქროსფერ ნაყოფს

მიიწურა შემოდგომა. დიდი ხანია დამთავრდა რთველი, სიმინდის ტეხვა. დაიწყო ფოთოლცვენა, გახშირდა სუსხიანი ქარი და წვიმა... აქ კი ზღვისპირეთში შემოდგომა ისევ ძალაშია, მზეს ჯერაც არ დაუკარგავს ცხოველმყოფელობა. ჯერაც ნაყოფი ასხია ხეებს — ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს. ასეა ახლა ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ციტრუსოვანთა პლანტაციებში. აქ გაცხოველებული შრომის დღეებია: მიმდინარეობს კრეფა, შემფუთავი ქარხნებისაკენ განუწყვეტლივ მიეშურებიან ციტრუსოვანთა ნაყოფით დატვირთული ავტომანქანები. წელს რაიონში ერთიორად მეტ ციტრუსებს ჩაბარებენ სახელმწიფოს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

ს ურ ა თ ზ ე: მარცხნივ — ციტრუსების კრეფა ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე მოწინავე კოლმეურნე ნ. ზოიძე. მარჯვნივ — კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მუშა გ. ბაბიჩევა პლანტაციაში მუშაობისას.

ახალი სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-114“



თვითმფრინავების კონსტრუქტორთა კოლექტივმა, რომელსაც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი ა. ტუპოლევი ხელმძღვანელობს, შექმნა მსოფლიოში უდიდესი, ყველაზე ჩქარი სამგზავრო თვითმფრინავი ტურბინრეაქტიანი ძრავებით. დღეისათვის თვითმფრინავი „ტუ-114“ თავისი მოცულობით, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო თვითმფრინავია. ნორმალური ვარიანტი გაანგარიშებულია 170 მგზავრის გადასაყვანად. შორეული ძირდაუშვებელი საკონტინენტთაშორისო რეისების დროს, მაგალითად, პეკინამდე, რანგუნამდე, ნიუ-იორკამდე, „ტუ-114“ 120 მგზავრს მიიღებს. უფრო მოკლე ხაზებზე ფრენისას, მაგალითად, მოსკოვიდან სამხრეთ კურორტებამდე, თვითმფრინავს შეუძლია ერთდროულად გადაიყვანოს 220 კაცი. შიგნით „ტუ-114“-ის ფუზელაჟი ორ სართულად იყოფა: დაბლა ბარგისა და სხვა ტვირთების სათავსებია, ხოლო ზემოთ — მგზავრთა სალონები. პირველ სართულზეევა სამზარეულო, სადაც ორი მზარეული მუშაობს. დამზადებული კერძები ზევით იგზავნება ორი ლიფტით. მგზავრებს გზაში ემსახურება სამი ბორტგამყოლი ქალი. საჰაერო ლაინერის შუა მონაკვეთშია რესტორანის ტიპის სალონი პატარა მაგიდებით. თვითმფრინავშია აგრეთვე ოთხი კუპე სამსამი საწოლი ადგილით.

ახალი თვითმფრინავი განკუთვნილია მგზავრების გადასაყვანად, ბარგის, ფოსტისა და სხვა ტვირთების გადასატანად როგორც საბჭოთა კავშირის საჰაერო მაგისტრალებზე, ისე საერთაშორისო ხაზებზეც.

• • •

სურათებზე: თვითმფრინავი „ტუ-114“ გამოცდის დროს აეროდრომის სასტარტო ბილიკზე; მგზავრთა ერთერთი სალონი და საწოლიანი კუპე.

ფოტო ვ. ეგოროვისა და მ. რედკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა.).

დიდ ინტერესს იჩენენ

განუწყვეტლივ ფართოვდება და მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ამას ცხადყოფს საქართველოს მაგალითი. წელს რესპუბლიკაში ჩამოვიდა ათობით დელეგაცია, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები. ბევრ მათგანთან ქართველმა მეცნიერებმა, მწერლებმა, მსახიობებმა, მუსიკოსებმა მჯიდრო კონტაქტი დაამყარეს.

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მთელმა რიგმა უცხოელმა მოღვაწეებმა ქართული ენის შესწავლა დაიწყეს, რათა უკეთ გაეცნონ ქართულ საბჭოთა კულტურას.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მეორე კურსიდან მეორე სპეციალობად შემოღებულია რუმინული, უნგრული და პოლონური ენების შესწავლა.

საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეიქმნა ჯგუფები, რომლებშიც გამოცდილი პედაგოგის ფ. ჯინჯიხაშვილის ხელმძღვანელობით სწავლობენ რუმინულ ენას. (საქდესი).

საბჭოთა სომხეთის 37 წელი

ა. ქოჩინიანი,
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

37 წლის წინათ სომხეთშიც ამობრწყინდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განთიადი.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს იმპერიალიზმის დამჭაშვილი — დაშნაკების საძულველი ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული და განუხრელი განხორციელების მეოხებით, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა მომძმე ხალხების უანგარო დახმარებით, სომხეთი მოკლე ისტორიულ ვადაში გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო სომეხი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფი აყვავება.

სომხეთში სოციალისტური მშენებლობის წლებში შეიქმნა მახვილი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა. მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1957 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა დაახლოებით 50-ჯერ, ამასთან მძიმე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1956 წელს 136-ჯერ გაიზარდა.

ახორციელებენ რა ვ. ი. ლენინის ანდერძს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ, სომხეთის მშრომელებმა გაწაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვეს ენერგეტიკის განვითარებაში, რომელიც სახალხო მეურნეობის საფუძველია. ახლა რესპუბლიკა აწარმოებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე შეფის მთელი რუსეთი აწარმოებდა 1913 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები — ქიმიური, მანქანათმშენებელი და სხვა დარგები, ძირეულად გარდაიქმნენ არსებული საწარმოები.

მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე სწრაფად განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. ამჟამად რესპუბლიკაშია დაახლოებით 600 სამრეწველო საწარმო, რომლებიც 400-ზე მეტი სახეობის სხვადასხვა ნაწარმს უშვებენ.

სოციალიზმის გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა სომხეთის სოფლის სახე. საკოლმეურნეო წყობილებამ მოსპო გლეხური მეურნეობის დაქსაქსულობა, ჩვენი სოფლის სიღატაკე და ჩამორჩენილობა.

გადამწყვეტი როლი სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში შეასრულეს მექანიზაციამ და წყალთა მეურნეობის მშენებლობამ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სომხეთის მშრომელებმა გაიჩაღეს წყალთა მეურნეობის ფართო მშენებლობა, რომლის მეოხებით რესპუბლიკის სარწყავმა ფართობმა 1957 წელს მიაღწია 212 ათას ჰექტარს 1913 წლის 97 ათას ჰექტართან შედარებით. ეს სამუშაოები დიდი მასშტაბით გრძელდება ახლაც.

ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მიმდინარე წელს ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის ჩაბარების წლიური გეგმები.

განუწყვეტლივ მატულობს კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი, რაც 2,1 ჯერ გადიდდა უკანასკნელ 5 წელიწადში.

მიმდინარეობს სომხეთის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 2,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, სოფლებში — დაახლოებით ორმოცდაათი ათასი სახლი.

რესპუბლიკა დაიფარა სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელით. ახლა სომხეთში არის 240-ზე მეტი საავადმყოფო, რომლებშიც მუშაობს 3.700-ზე მეტი ექიმი, მაშინ როცა 1913 წელს იყო სულ 18 საავადმყოფო, რომლებსაც ემსახურებოდა 73 ექიმი.

რევოლუციამდელ სომხეთში არც ერთი კურორტი არ ყოფილა, ახლა კი მუშაობს 24 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

სომეხი ხალხის კულტურამ ნამდვილ აყვავებას მიაღწია. საბჭოთა სომხეთი მთლიანი წიგნიერობის რესპუბლიკა გახდა. მიმდინარე სასწავლო წელს 1197 სკოლაში ასწავლის 18.600 მასწავლებელი და სწავლობს 274.600 ბავშვი, რაც დაახლოებით 8-ჯერ მეტია, ვიდრე 1914 წელს იყო. რევოლუციამდელ სომხეთში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა, ახლა კი ჩვენ გვაქვს 11 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებაში ახლა მუშაობს 3.000-ზე მეტი მეცნიერი, 350 აკადემიკოსი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი და დაახლოებით 30.000 საშუალო განათლების მქონე სხვადასხვა სპეციალისტი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი წარმატებანი მოიპოვეს სომხეთის მეცნიერებმა. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში შეიქმნა და რომელიც 57 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და დაწესებულების მუშაობას ერთიანებს, მეცნიერული აზრის ცენტრია. მის მრავალრიცხოვან კოლექტივს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში.

ვითარდება სომეხი ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება. საბჭოთა სომხეთის მწერლებმა და მხატვრებმა მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი შექმნეს, რომლებიც ასახავენ მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდაქმნებს, საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ შემოქმედებითს შრომას. ჩვენი მწერლებისა და მხატვრების ბევრ ნაწარმოებს საბჭოთა ხალხი გულთბილად შეხვდა და მაღალი შეფასება მისცა.

რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას მომსახურებას უწევს კინოთეატრების, კულტურის სასახლეების, კლუბებისა და მუზეუმების ხშირი ქსელი. ნაცვლად 13 ბიბლიოთეკისა, რომლებიც სომხეთში იყო 1913 წელს, ახლა არის 1.662 ბიბლიოთეკა წიგნების მდიდარი ფონდით. მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურია ძველ ხელნაწერთა სახელმწიფო საცავი — მატენდარანი, სადაც ინახება 13.500-ზე მეტი უაღრესად ძვირფასი უძველესი ხელნაწერი.

გასული წლიდან მოქმედებს ერევნის ტელეცენტრი, რომელიც მომსახურებას უწევს რესპუბლიკის დედაქალაქისა და ბევრი სხვა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და პარტიისა და მთავრობის შემდგომი ღონისძიებანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისა და მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ ფართო შესაძლებლობას ქმნიან, რათა კიდევ უფრო სრულად განვითარდეს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკა და კულტურა, რათა კიდევ უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ მშრომელმა მასებმა წარმოების მართვაში და ყოველმხრივ განვითარდეს მათი შემოქმედებითი ინიციატივა.

სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მათ ვალდებულება იკისრეს 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე გაადიდონ წარმოება: ხორცისა — 82 ცენტნერამდე, რძისა — 350 ცენტნერამდე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები და მისი შემდგომი მძლავრი განვითარების პერსპექტივები აღფრთოვანებენ სომხეთის მშრომელებს ახალი შრომითი გმირობისათვის.

სომეხი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ახალ წარმატებებს მოიპოვებს ისტორიული ამოცანის შესრულებაში — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად, რათა უზრუნველყოთ კომუნიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში.

ერევანი. ხელსაწყოთმშენებლობის ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი გ. გალსტიანი და ინჟინერ-ლაბორანტი ი. შახბაზიანი აწარმოებენ მიკროვოლტმეტრების გამოცდას.

პარტიულ კონფერენციებზე

კვლავ ძველებურად

მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ რუსთავის მეტალურგებს დიდი შესაძლებლობა აქვთ მომწიფებული საწარმოო საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისათვის. საწუხაროდ, იგი უნარიანად არ არის გამოყენებული. მიმდინარე წლის 10 თვეში, პროდუქციის გამოშვების საერთო გეგმის შესრულების მიუხედავად, ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები დააკლო.

ამას წინათ გამართულ საქარხნო პარტიულ კონფერენციაზე პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ცქვიტინიძე საანგარიშო მოხსენებაში ვრცლად შეჩერდა ჩამორჩენის მიზეზებზე, მაგრამ არაფერი უთქვამს იმაზე, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები ხორციელდება საწარმოს გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

კონფერენციის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში განაცხადეს, რომ ქარხნის პარტიული კომიტეტი სუსტად იბრძოდა მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებისათვის, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისა და ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

— ქარხნის პარტიული კომიტეტის მუშაკები, — განაცხადა მეფოლადე ვ. ბულგატოვმა, — ჩვენს საამქროში იშვიათად მოდიოდნენ. ერთი საათის მოცდენით გამოწვეული ზარალი მარტენის საამქროში საგრძნობ თანხას აღწევს, ჩვენ კი დამხმარე მოწყობილობათა უქონლობის გამო ხშირად ათობით საათს ვცდებით.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა საწარმოს ჩამორჩენის ძირითად მიზეზად დაასახელეს შრომის დაბალი დისციპლინა, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევისა და ავარიის ხშირი შემთხვევები, მოწყობილობის ცუდი მოვლა, ნაკლები ზრუნვა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვისათვის. ამ მხრივ საინტერესო ფაქტები დაასახელა ქარხნის დირექტორის მოადგილემ ი. კოგანმა.

— წელს მარტენის საამქროში, — თქვა მან, — გადახარჯულია 4,5 მილიონი მანეთის საწვავი და სხვა მასალები. ყოველივე ამის შედეგად ტონა ფოლადის გამოდნობა 8 მანეთითა და 38 კაპიკით გაძვირდა. წარმოებისადმი უყაირათო დამოკიდებულების შედეგად ასევე დიდია გადახარჯვა სპრმქმედე, მილსაგლინავ, ფურცელ-საგლინავ და სხვა საამქროებში.

— პირველი ნოემბრიდან ჩვენი საამქრო 7-საათიან სამუშაო დღეზე გადავიდა, — აღნიშნა მილსაგლინავი საამქროს უფროსმა მვალცავმა ტ. ტურაშვილმა, — საამქროს ადმინისტრაცია ამ ღონისძიებას მოუმზადებელი შეხვდა. ცვლებსა და ბრიგადებს შორის სამუშაო დრო სწორად არ არის განაწილებული, ამის გამო საგლინავ დგანებს სრული დატვირთვით ვერ ვიყენებთ.

თავიანთ გამოსვლებში კომუნისტებმა ანალიზი გაუკეთეს მრეწველობისა და მშენებლობის ბირთვის გარდაქმნის პირველ შედეგებს, გააკრიტიკეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული მრეწველობის სამმართველო, რომელიც რუსთავის მეტალურგებს სათანადოდ ვერ ეხმარება საჭირო ნედლეულისა და მოწყობილობის დროულად მიწოდებაში.

კონფერენციის დელეგატებმა გამოააშკარავეს ნაკლოვანებანი ქარხნის პარტიული კომიტეტის მუშაობის სტილსა და მეთოდებში. მათ აღნიშნეს, რომ პარტიულ კომიტეტს მჭიდრო კავშირი არა აქვს საამქროთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიული ჯგუფების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, არადამაკმაყოფილებლად ეწევა მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მოუწოდა ქარხნის კომუნისტებს ჩადგნენ საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

გ. ბელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„სახალხო კაპიტალიზმის“ მქადაგებელთა იაფფასიანი ხრიკები

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე საბჭოთა სახელმწიფოსა და დემოკრატიული ძალების გამარჯვებამ, საერთაშორისო სარბიელზე ძალთა თანაფარდობის სოციალიზმის სასარგებლოდ ძირეულმა შეცვლამ გააღრმავა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის საერთო კრიზისი, რაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს დაიწყო. გაბაზარდა და განმტკიცდა სოციალიზმის ძალები, სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა. კაპიტალიზმი უძლური აღმოჩნდა ხელი შეეშალა ამ მსოფლიო-ისტორიული პროცესისათვის, მან ვერ შეძლო აეცდინა ევროპისა და აზიის მრავალმილიონიანი სახელმწიფოების სოციალისტური განვითარების გზიდან.

ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა, რომლებმაც სამუდამოდ მოიშორეს კაპიტალისტური მონობის უღელი. უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტურ მშენებლობაში. სოციალიზმის იდეები დიად მიმზიდველ ძალად იქცა, რადგან სოციალიზმს მშრომელთათვის მოაქვს ეროვნული და სოციალური ჩაგვრისგან სრული განთავისუფლება, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ნამდვილი ძმობა და თავისუფლება, დემოკრატია და მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

კაპიტალისტური სისტემა, მისი იმპერიალისტური იდეოლოგია ხალხთა ფართო მასების სიძულვილს იწვევს. ეკონომიური კრიზისები, მზარდი უმუშევრობა, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში მილიონობით ადამიანთა დამონება და ექსპლოატაცია, ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ორი დამანგრეველი, სისხლისმღვრელი მსოფლიო ომი — ყოველივე ეს საკმარისია იმისათვის, რომ ხალხებს ეზიზღებოდეთ დრომოჭმული, დამპალი კაპიტალისტური წყობილება.

ბურჟუაზიული პროფესორი მასიმო სალვადორი თავის ერთ-ერთ წიგნში, რომელიც ახლახან გამოსცა ამერიკის საინფორმაციო ბიურომ, წერს: „ევროპასა და აზიაში ძალიან ცოტაა ადამიანები, რომლებიც ამერიკული ნიმუშის კაპიტალიზმის მომხრეები იყვნენ... ევროპელებისა და აზიელებისათვის კაპიტალიზმი ნიშნავს უმთავრესად კრიზისებს, უმუშევრობას, ომსა და იმპერიალიზმს“.

ეს აღიარება მით უფრო საინტერესოა, რომ მას კაპიტალიზმის აპოლოგეტისაგან ვისმენთ. ახლა კაპიტალისტურ ზმართველ წრეებს სურთ გამოიგონონ ისეთი წამალი, რომელიც მშრომელთა თვალში მიმზიდველად აქცევდა დრომოჭმულ კაპიტალიზმს. სწორედ ამ მიზნით ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეები, სხვადასხვა რანგის ბურჟუაზიის იდეოლოგები ათასნაირ ხერხს მიმართავენ, ქმნიან ეკონომიურ და სოციალურ „თეორიებს“ კაპიტალიზმის შერყეული პრესტიჟის აღსადგენად, არაფერს იშურებენ, რათა დაამტკიცონ დაუმტკიცებელი — ბურჟუაზიული საზოგადოების ვითომდა ევოლუციით განკურნება და მისი გადასხვაფერება.

ამის შესახებ დეკლარაციაში, რომელიც სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა მიიღო, ნათქვამია:

„სოციალიზმის იდეები ეუფლებიან ახალი და ახალი მილიონობით ადამიანის ნებგნებას. ამ გითარებაში იმპერიალისტური ბურჟუაზია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მასების იდეოლოგიურ დამუშავებას, ამახინჯებს სოციალიზმს და ცილს სწამებს მარქსიზმ-ლენინიზმს, შეცდომაში შეჰყავს და აბრკოლებს შეაქვს მასებში. ამიტომ მასების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაძლიერებას, ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნისტური მოძრაობის მიმართ იმპერიალისტური პროპაგანდის სიცრუისა და ცილისწამების მხილებას, სოციალიზმის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის იდეების გასაგები და დამაჯერებელი ფორმით ფართო პროპაგანდას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება“.

უკანასკნელ ხანს კაპიტალისტურ ქვეყნებში ფართოდ რეკლამირებულია მითი „სახალხო კაპიტალიზმის“ შესახებ. თანამედროვე კაპიტალიზმის დაქირავებული დამცველები ცდილობენ უპირველეს ყოვლისა შეაფერადონ კაპიტალისტური შენობის ფასადი რაღაც „ხალხური სტილით“, რათა „მიმზიდველი“ გახადონ იგი.

„სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიამ ცენტრალური ადგილი დაიჭირა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პროპაგანდაში. ეს თეორია სახელმწიფო დოქტრინად გამოცხადდა დასავლეთ გერმანიაში, იაპონიაში, იტალიაში, საფრანგეთში და სკანდინავიის ქვეყნებში. ამ მითის გასავრცელებლად ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყოველგვარ საშუალებას იყენებენ. გაზეთებსა და ჟურნალებში უხვად ქვეყნდება სტატიები და წერილები, მილიონიანი ტირაჟებით იბეჭდება წიგნები, „მეცნიერული“ გამოკვლევები, ფერად-ფერადი პლაკატები. ამავე მიზნის სამსახურშია ჩაყენებული კინო, რადიომაუწყებლობა, ტელეგადაცემა, მოძრავი სპეციალური გამოფენები.

„სახალხო კაპიტალიზმის“ ლეგენდას თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ძველმა კაპიტალიზმმა თითქოს დაკარგა თავისი ექსპლოატატორული ხასიათი. ახლა მისი მიზანია არა მაქსიმალური მოგება, არამედ საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის ამაღლება, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ზოგიერთი ბურჟუაზიული იდეოლოგი ამტკიცებს, „სახალხო კაპიტალიზმს“ „შეუძლია გეგმიანი ეკონომიკა“ აწარმოოს, რითიც წინააღმდეგობას უწევს კაპიტალიზმის მანკიერებებსო. მათი აზრით, XX საუკუნეში მოხდა „კაპიტალისტური რევოლუცია“ და კაპიტალიზმი არსებობს უკაპიტალისტებოდ და უმუშებოდ, რადგან კაპიტალისტებიც და მუშებიც ერთნაირად შრომობენ, მხოლოდ სხვადასხვა სფეროებში. ზოგიერთი „თეორეტიკოსი“ ამას „დემოკრატიულ სოციალიზმს“ და „ზესოციალიზმსაც“ კი უწოდებს. ბურჟუაზიის აპოლოგეტები ჯონსონი და კრუსი, რომლებმაც ზომიერების ყოველგვარი გრძნობა დაკარგეს, წიგნში „ამერიკული ეკონომიკის წარმოშობა და განვითარება“ ამტკიცებენ, თითქოს ამერიკული კაპიტალიზმი უზრუნველყოფდეს კომუნიზმის მეორე ფაზის პრინციპის — თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით — განხორციელებას.

რა არგუმენტებს აყენებენ „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტები ამ „თეორიის“ დასამტკიცებლად? მათი მიხედვით, თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებებზე საკუთრება აღარ წარმოადგენს კაპიტალისტთა კლასის მონოპოლიას. თითქოს კაპიტალისტური წარმოების ხელმძღვანელობა კაპიტალისტების ხელიდან გადავიდა ტექნიკურ-საწარმოო ინტელიგენციის ხელში, გაიზარდა მუშათა შემოსავალი. ამ ზღაპარს ყოველ ნაბიჯზე უარყოფს ცხოვრება. კაპიტალისტური სინამდვილე.

უფრო შორს წავიდა მილიონერი ე. ჯონსტონი, რომელიც წიგნში „განუსაზღვრელი ამერიკა“ წერდა: „...ჩემს აგურის ან კირის ქარხანაში მომუშავე მოსამსახურეები არანაკლები კაპიტალისტები არიან ვიდრე მე თვითონ“. ამ ვერსიის სიყალბეს კომენტარი აღარ ესაჭიროება. საგულისხმოა, რომ „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსებს შორისაც არ არის თანხმობა. ერთნი ამტკიცებენ, კაპიტალისტებად ყველა ხდებაო, რომ თითქოს მუშების უმრავლესობა აქციონერებია, ე. ი. კაპიტალისტებთან ერთად მოგებას იყოფენო, მეორენი კი პირიქით — კაპიტალისტები ქრებიანო. ეკონომისტ ა. ბერლის აზრით, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა საკუთრების რევოლუცია, რომელიც თითქოს ნიშნავს კაპიტალის კოლექტივიზაციას კორპორაციებში. მაგრამ მთელი ეს უგუნური, აბსტრაქციული ბოდვა მაშინვე ქრება. როგორც კი ის რეალური ცხოვრების ულმობელი ფაქტების ანალიზს დაუპირისპირდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1956 წელს აქციებს ფლობდა მთელი მოზრდილი მოსახლეობის მხოლოდ 8 პროცენტი, აქედან ცხრა მეათედს კაპიტალისტები შეადგენდნენ. ამერიკელი მეცნიერის რ. მილასის გამოანგარიშებით ამერიკის შეერთებული შტატების მუშების 98 პროცენტზე მეტს აქციები სულაც არ გააჩნია. სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში აქციონერთა შორის მუშათა რიცხვი კიდევ უფრო მცირეა. ამავე დროს მონოპოლისტები ცდილობენ აქციების საშუალებით გადაბირონ, მოისყიდონ მუშათა არისტოკრატია, გამოიყენონ ისინი შტრეიკბრეხერებად, გაამლიერონ მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული მიმდინარეობა.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ვ. ი. ლენინი, ულმობლად ამხელდა რა თანამედროვე „სახალხო კაპიტალიზმის“ წინამორბედს, სტატიაში „რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან“ წერდა, წვრილი მეანაბრე მსხვილ საწარმოში უფრო დამოუკიდებელ მეპატრონედ კი არა, მსხვილი მეპატრონისაგან უფრო დამოკიდებულ პიროვნებად ხდებაო.

არც კაპიტალისტურ საწარმოთა მართვაში მომხდარა რაიმე რევოლუცია. კაპიტალისტები მართავდნენ და კვლავაც მართავენ თავიანთ საწარმოებს დირექტორების და სხვა ტექნიკური სამმართველო აპარატის საშუალებით. მაგრამ საწარმოთა საქმიანობის მიმართულებას, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს მისი ნამდვილი მფლობელი — მონოპოლისტი.

ასევე ვერ უძლებს კრიტიკას ზღაპარი მუშებისა და კაპიტალისტების შემოსავლის გათანაბრების შესახებ. „სახალხო კაპიტალიზმის“ ვაჭეორეტიკოსები ამტკიცებენ, თითქოს ქრება უფსკრული მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, თითქოს ისპობა კლასობრივი განსხვავება და მყარდება კლასთა ბრძოლის ნაცვლად მუდმივი ჰარმონია.

ამ ყალბ დებულებას ამერიკელი ეკონომისტი ს. კუზნეცი შემდეგნაირად „ასაბუთებს“. რადგან ამერიკის ეროვნულ შემოსავალში კაპიტალისტების ზედაფენების წილი თანდათან კლებულობს, ხოლო მუშებისა — მატულობს, ამიტომ ხდება არა მარტო „შემოსავლის თანდათანობით გათანაბრება“, არამედ „კლასთა გათანაბრებაც“.

სინამდვილეში მონოპოლისტთა შემოსავალი კი არ კლებულობს თითქოს და მუშათა შემოსავლის ზრდის ხარჯზე, — როგორც ამას ბურჟუაზიის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, — არამედ, პირიქით, მატულობს. თვით ამერიკის მონაცემებით, 1946-49 წლებში მონოპოლიათა წლიური მოგება საშუალოდ შეადგენდა 28,7 მილიარდ დოლარს, ხოლო 1950-56 წლებში იგი გაიზარდა 43,4 მილიარდ დოლარამდე, მშრომელთა ცხოვრების დონე კი „სახალხო კაპიტალიზმის“ ამ ციტადელში სულ უფრო დაბლა იწევს. 29 მილიონი ამერიკული ოჯახიდან 5,5 მილიონს აქვს 1.000 დოლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი, 8 მილიონ ოჯახს — 2-დან 3 ათასამდე დოლარი, 9 მილიონ ოჯახს — 3-დან 4 ათასამდე დოლარი. ეს მაშინ, როცა წლიური საარსებო მინიმუმი ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური მონაცემებით შეადგენს 5.000 დოლარს. ასეთია სინამდვილე, რომელიც უცილობლად უარყოფს მითს მუშებისა და კაპიტალისტების შემოსავლის გათანაბრების შესახებ.

კაპიტალიზმის იდეოლოგები მთელ ძალღონეს ძაბავენ იმისათვის, რომ მიჩქმალონ და შეამცირონ მშრომელთა თვალში სოციალისტური წყობილების გიგანტური მიღწევები, მშრომელი მასების მოტყუების გზით განამტკიცონ რეაქციული ძალების პოზიციები, ფართო მასების თვალში გაამართლონ ეკონომიკის მილიტარიზაციის პოლიტიკა, გამალებული შეიარაღება და სამხედრო ხარჯების ზრდა, შეაჩერონ კოლონიური სისტემის გაძლიერებული რღვევის პროცესი.

როგორც არ უნდა ეცადონ „სახალხო კაპიტალიზმის მქადაგებელნი, რა ეპითეტებითაც არ უნდა მოქარგონ თანამედროვე კაპიტალიზმი — სულ ერთია იგი ამით არ დაკარგავს თავის მგლურ ბუნებას. მართალია, კაპიტალიზმი შეიცვალა, მაგრამ შეიცვალა არა კარგისაკენ, არამედ ცუდისაკენ, გახდა უფრო მძარცველური, უფრო ყაჩაღური, პარაზიტული, რეაქციული. ამას ადასტურებს კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მზარდი უმუშევრობა (მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვმა 10 მილიონს გადააჭარბა), კლასობრივი ბრძოლის უაღრესი გამწვავება, საგაფიცვო მოძრაობის შემდგომი სწრაფი ზრდა.

კაპიტალიზმი უკურნებელი სენით არის დაავადებული. მას ახლა საკუთარი სახელის გაგონებისაც კი ეშინია და ცდილობს შემოსოს იგი „ხალხური სტილით“. „ისტორიის მიერ განწირულ კაპიტალისტურ სისტემას, — აშშ-ის ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს, — აღარ ძალუძს ღასახოს თავისი განვითარების ისეთი მიზნები, რომლებსაც შეეძლოთ აღაფრთოვანონ და გაიტაცონ მილიონობით ადამიანი. ისწრაფვიან რა გაახანგრძლივონ თავიანთი არსებობა, კაპიტალისტები მიმართავენ შენიღბვისა და მოტყუების უაღრესად ხერხიან ფორმებს, მიმართავენ ყალბ ფრაზებს „სახალხო კაპიტალიზმის“, „დემოკრატიული კაპიტალის“ შესახებ, „საყოველთაო კეთილდღეობის“ ბურჟუაზიული სახელმწიფოს შესახებ და სხვ. მაგრამ ვერც კაპიტალიზმის დამცველთა იაფფასიანი პროპაგანდისტული ხრიკები

ვაზი ჩვენი დიდებულების ჩყანთა

ჩვენი შეძლებულობის წყარო

მოსავლელად ჩაბარებული მაქვს 0,45 ჰექტარი ვენახი. ვაზს მუდამ თავს დავტრიალებ და მზრუნველობას არ ვაკლებ. შრომაც ყოველთვის მიფასდება. 1948 წელს ყურძნის მაღალი მოსავალი მივიღე, და მთავრობამ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მომანიჭა.

ვ. კვანტრიშვილი.

* * *

მიმდინარე წლის შემოდგომა ჩემთვის ყველაზე ბარაქიანი იყო. ჰექტარზე გადაანგარიშებით მივიღე 165 ცენტნერი მოსავალი. მოსავლიანობის გადიდებისათვის პრემიის სახით მერგო 700 კილოგრამი ყურძენი.

ვენახი ჩვენი კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარი წყაროა. არ ვკმაყოფილდები მიღწეულით, ვიკისრე 1958 წელს ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანო 200 ცენტნერამდე.

დადებული პირობის შესრულებას მოსავლის აღებისთანავე შევუდექი. ვენახში შევიტანე ორგანული და მინერალური სასუქები ღრმა ჩახვნით, დავამთავრე ვაზის ძირების გადაბარვა. ზამთარში შტამბზე მავნებლებმა რომ არ დაიბუდონ, ვაზს მოვაცილე ქერქი, გამოვიტანე ფართობის ნაპირებზე და დავწვი. ვენახის სამუშაოები დიდი და ძნელია, სამაგიეროდ გახარებს შედეგი, რომელსაც იღებ, გულს გიხალისებს იმის შეგნება, რომ პარტიისა და მთავრობის დავალებებს ასრულებ, საკუთარი წვლილი შეგაქვს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურძნით მომარაგებაში.

ვ. კვანტრიშვილი,

ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჰექტარზე 210 ცენტნერი ყურძენი

მრავალი წლის გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანა ვენახის ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადაში და მაღალხარისხოვნად შესრულებას მოითხოვს. თუ რომელიმე ღონისძიება დროულად არ განვახორციელეთ, ეს უარყოფითად იმოქმედებს მოსავლზე. ამიტომ მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდები ამ საქმეებს. შემოდგომაზე 0,12 ჰექტარზე შევიტანე 5 ტონა ნაკელი, ადრე გაზაფხულზე ნიადაგი დავამუშავე, მეორედ შევიტანე მინერალური სასუქი. ამის შემდეგ ვენახი სამჯერ გავთოხნე და მთლიანად მოვსპე სარეველა ბალახები. მიწა ყოველთვის ფხვიერ მდგომარეობაშია.



ვ. ჩაჩუა.

* * *

გასხვლისას ვაზს ინდივიდუალურად მივუდექი. თვითეულ ძირს დავუტოვე 3-4 სანაყოფე რქა პირველ წელს 20-25 კვირტით, ხოლო მეორე წელს 32-40 კვირტით. აგროტექნიკური ღონისძიებები საერთო წესით განვახორციელე. ვაზის დატვირთვამ ღონიერი ფესვთა სისტემა განავითარა და ხელი შეუწყო ნიადაგის ღრმა ფენებიდან საკვებ ხივთიერებათა მეტი რაოდენობით მოპოვებას, გვალვაამტანობას. ივლისის პირველ რიცხვებში დავიწყე ვაზის მწვანე ოპერაციები: წვეროების წაწყვეტა, ნამხრევების შეცლა და სხვ. ვაზს შევაცალე შტამბიდან გამოსული ყველა ყლორტი, გამონაკლის შემთხვევაში დავუტოვე ის ყლორტები, რომლებიც საჭირო იყო შტამბის დასაადგილებლად ან გასაახლებლად, დამატებითი სასხლავი რგოლის შესაქმნელად. მთელი ვეგეტაციის პერიოდში ვაზს შაბიამნის ხსნარი შევასხურე ხუთჯერ, გოგირდი შევაფრქვიე სამჯერ.

წელს ჰექტარზე გადაანგარიშებით მივიღე 210 ცენტნერი ყურძენი. ახლა ვიბრძვი იმისათვის, რომ 1958 წელს ჰექტარზე მივიღო 250 ცენტნერი ყურძენი.

ვ. ჩაჩუა,

ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

მევენახეობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია. მის განვითარებას ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა.

გათვალისწინებულია 1960 წელს ვენახების ფართობი ჩვენს რესპუბლიკაში აყვანილ იქნას 80 ათას ჰექტარამდე, აქედან კოლმეურნეობებში — 43 ათას ჰექტარამდე და საბჭოთა მეურნეობებში — 9 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1965 წელს სულ — 120 ათას ჰექტარამდე.

დადგენილია 1956-1960 წლებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 23 ათასი ჰექტარი ახალი ვენახის გაშენების გეგმა, აქედან კოლმეურნეობებში — 17 ათასი ჰექტარისა და საბჭოთა მეურნეობებში — 6 ათასი ჰექტარისა. 1960 წელს ყურძნის დამზადებამ უნდა შეადგინოს 180 ათასი ტონა, ყურძნის ღვინის გამოშვებამ — 7,8 მილიონამდე დეკალიტრი, შამპანური ღვინისა — 7 მილიონამდე ბოთლი.

ახლა რესპუბლიკის ვენახის ფართობებში გაჩაღებულია საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონებში ყურძნის მოსავლიანობის გადიდების გამოცდილებაზე, არსებულ ნაკლოვანებებზე და იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება დასახულია მეექვსე ხუთწლედში მევენახეობის დარგში.

კომუნისტები—ავანგარდში

დიმელმა მევენახეებმა წარმატებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება — 41 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 72 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. კოლმეურნეობამ მევენახეობიდან 1 მილიონ 96 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

კოლმეურნეთა შემოქმედებითს შრომას, სათავეში უდგას პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც 43 კომუნისტია გაერთიანებული. ისინი კოლმეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ და შრომაში მისაბაძ მაგალითებს იძლევიან.

მევენახეთა შორის თავდადებული შრომით გამოირჩევა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი — სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ფულარიანი ხელმძღვანელობს. აქ გასული წლის შემოდგომიდან შეუდგნენ ვენახების დამუშავებას, ყველა სამუშაო აგროტექნიკურ ვადაში შეასრულეს. ბრიგადამ მოსავლელად მიჩენილი 8,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 108 ცენტნერი ყურძენი ვალდებულებით ნაკისრი 80 ცენტნერის ნაცვლად. ამ ბრიგადის მერგოლურმა ნ. ფულარიანმა, კოლმეურნეებმა დ. ბარბაქაძემ, ვ. ჩიქვინიძემ, ა. გრძელიძემ მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთებიდან ჰექტარზე გადაყვანით მიიღეს 100-150 ცენტნერი ყურძენი.

პარტიურო უნარიანად იყენებს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას, სისტემატურად ამოწმებს სამეურნეო მუშაობის საკითხებს. გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე იმართება საქმიანი მსჯელობა.

17 ოქტომბრისათვის ყველა ბრიგადაში როდი იყო დაწყებული საშემოდგომო სამუშაოები. პარტიურომ ეს საკითხი მსჯელობის საგნად გახადა და სათავეში ჩაუდგა მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებას. ყველა ბრიგადა შეუდგა გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს. მოკლე დროში 12 ჰექტარზე შეტანილ იქნა ორგანული და მინერალური სასუქები, მწკრივთა შორის მოიხნა 14 ჰექტარი, წარმატებით მიმდინარეობს ვენახების ძირების გამობარვა და სხვა სამუშაოები.

გაუმჯობესდა კოლმეურნეთა შორის საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. agიტატორები მ. ღვინჯილია, ლ. ნატრიაშვილი და ე. მეჭავარიანი საagიტაციო საუბრებს მოხერხებულად უკავშირებენ ბრიგადებისა და რგოლების წინაშე მდგომ ამოცანებს და რაზმავენ კომუნისტებს მათ შესასრულებლად, ხელს უწყობენ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას.

ჯ. გეგეშიძე,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

ფაქტები მეტყველებენ

⊙ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა ვადაზე ადრე შეასრულა ვენახის მწკრივთაშორის საშემოდგომო ხვნა, მოხნა 50 ჰექტარი და ამით გეგმა 100 პროცენტით გაანაღდა.

⊙ სოფელ წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ უკვე გადაჭარბებით შეასრულა ვენახის გაშენების 1957 წლის გეგმა. ახალი ვენახი გააშენა 7 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 5 ჰექტარის ნაცვლად.

⊙ სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ლილი თაბუკაშვილს მოსავლელად მიჩენილი აქვს 0,18 ჰექტარი ვენახი. მან აagროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად ჰექტარზე გადაყვანით მოიყვანა 206,6 ცენტნერი ყურძენი.

⊙ ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ვენახის გაშენების 1957 წლის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა, გააშენა 5 ჰექტარი ახალი ვენახი.

⊙ რაიონში წელს ერთი ცენტნერი ყურძნის წარმოებაზე დაიხარჯა 15,6 შრომადღე. 1952 წელს დახარჯული იყო — 21 შრომადღე.

⊙ რაიონის კოლმეურნეობებში 1956 წელს მთლიანი ფულადი შემოსავალი იყო 20.288.000 მანეთი, აქედან მარტო მევენახეობიდან — 13.026.000 მანეთი.

ფართო ჩვენებით

ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში ყველაზე მეტი ხვედრითი წონა მევენახეობას აქვს. საერთო ფულადი შემოსავლის 80 პროცენტზე მეტს ეს დარგი იძლევა.

წელს, მიუხედავად ცუდი ამინდისა, 45 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 74 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, რაც ბევრად აღემატება გასული სამეურნეო წლის მაჩვენებელს და მიმდინარე წლის საგეგმო დავალებას. ამასთან ერთი ცენტნერი ყურძნის წარმოებაზე გასულ წელთან შედარებით 3,35 შრომადღით ნაკლები დავხარჯეთ. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეთ სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. მარტო ყურძნით მიღებული შემოსავლიდან თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეებს ერგოთ 8 მანეთი. დარჩენილი პროდუქციიდან შრომადღეზე 1,5 კილოგრამი ყურძენი გავანაწილეთ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც ბ. გოგოლიძე ხელმძღვანელობს. გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერის წაცვლად მან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 90 ცენტნერი მოსავალი.

უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატთა რიგები ყოველწლიურად იზრდება. წარსულ წლებში 8 კოლმეურნეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 5 კოლმეურნე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. კოლმეურნეობამ ფართო ჩვენებით სამჯერ მოიპოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. საგამოფენო კომიტეტის მიერ კოლმეურნეობა დაჯილდოებულია რადიოდანადგარით, 4 კოლმეურნე — ვერცხლის პატარა მედლით, ერთი კი — ვერცხლის დიდი მედლით. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებულ ცოდნას ყოველწლიურად ვნერგავთ წარმოებაში, რისთვისაც კოლმეურნეებთან სისტემატურად ეწყობა საუბრები და მოხსენებები.



ს. უანჩაველი.

* * *

ჩვენი მშობლიური მთავრობის ეს დაფასება მევენახეებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ვიკისრეთ 1958 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ სულ მცირე 100 ცენტნერი ყურძენი. უკვე გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. წარმატებით მიმდინარეობს ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა.

ჩვენ სიტყვას საქმედ ვაქცევთ!

ს. უანჩაველი,

ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სიტყვა და საქმე

შარშან კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე ჩვენი რგოლის სახელით ვიკისრე 1,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიგვეღო 120 ცენტნერი ყურძენი.

ნ. ფულარიანი.

* * *

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მიზნით ვენახების მოვლა-პატრონობა გავაძლიერეთ. ყველა სამუშაო აგროწესების დაცვით, მაღალხარისხოვნად შევასრულეთ. ნიადაგი პირველად შემოდგომაზე და მეორედ ადრე გაზაფხულზე ღრმად დავამუშავეთ, მასში საკმაო რაოდენობით შევიტანეთ ორგანული და მინერალური სასუქები. ტენის შენარჩუნების მიზნით ნიადაგი სამჯერ გავთოხნეთ.

ვაზის გასხვლა ერთ-ერთი მთავარი აგროტექნიკური ღონისძიებაა მოსავლიანობის გასაადიდებლად. ეს საქმეც ყველაზე მცოდნე კოლმეურნეებს დავაკისრეთ. ძლიერად განვითარებულ ვაზებს 15-20 მოსახვევი და 5 ნეკი დავუტოვეთ. მწვანე ოპერაციები არ დაგვიგვიანებია. შაბიამნის ხსნარით წამლობა 5-ჯერ ჩავატარეთ, გოგირდი 4-ჯერ შევაფრქვიეთ.

ბეჯითმა შრომამ სასიხარულო შედეგი გამოიღო. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 155 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, გეგმა კი 90 ცენტნერს ითვალისწინებდა. ჩემი რგოლის წევრებმა პრემიის სახით 1.650 კილოგრამი ყურძენი მიიღეს.

რგოლის წევრებმა ვალდებულება ვიკისრეთ 1958 წელს ყურძნის საშუალო მოსავლიანობა რგოლში 200 ცენტნერამდე გავადიდოთ. ამ პირობის შესრულებისათვის მუშაობა აქედანვე დავიწყეთ.

ნ. ფულარიანი,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

პიროგას დეგენ, მაგრამ არ ასრულეგენ

მოწინავე მევენახეობა მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ როგორც ზესტაფონის, ისე მაიაკოვსკის რაიონებში ყველა პირობაა ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის. სამწუხაროდ, მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილებას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ზესტაფონის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვენახი მოკლებულია სათანადო მზრუნველობას, მოვლა-პატრონობას.

ზესტაფონელი მევენახეები ყოველი სამეურნეო წლის დასაწყისში კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს ყურძნის მოსავლიანობის ამაღლებისათვის და ემზადებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გურჯაანის რაიონთან. ამით როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ გაზეთებში პოპულარული ხდებიან, შემდეგ კი დავიწყებენ ნაკისრ ვალდებულებებს და შედეგსაც ცუდს იღებენ.

რაიონში 1951 წლიდან 1957 წლამდე ერთხელაც არ შეუსრულებიათ ყურძნის მოსავლიანობის გეგმა. წელს საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 47,5 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, მოსავლიანობის გეგმას 7,5 ცენტნერი დააკლეს.

შარშან უნდა გაეშენებინათ 100 ჰექტარი ვენახი, ფაქტიურად კი 60 ჰექტარი გააშენეს. მოსალოდნელი იყო, რომ წელს მაინც გაითვალისწინებდნენ გასული წლის მწარე გაკვეთილებს და ნაკისრი 120 ჰექტარი ახალი ვენახების გაშენების გეგმას შეასრულებდნენ. სამწუხაროდ, რაიონში ეს არ იგრძნობა. 120 ჰექტარიდან გაშენდა მხოლოდ 75.

ნოემბრის დღეები იწურება. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში კი ვენახის საშემოდგომო სამუშაოები ჯერაც არ დაუწყიათ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

სოფელ ქედა საქართველოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონის ცენტრს არც ისე დაშორებულია. აქ ხშირად მოდიან რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები, მაგრამ რატომღაც ვერ ამჩნევენ, რომ კოლმეურნეობაში ვენახები ცუდად არის მოვლილი, ზოგან კი ვაზი დაკნინების გზაზეა დამდგარი.

— მართალია ჩვენმა კოლმეურნეობამ საანგარიშო წელი ცუდად დაამთავრა, საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 33 ცენტნერი ყურძენი 52 ცენტნერის ნაცვლად, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უ. ნებიერიძემ, — მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. მინერალური და ორგანული სასუქი ყოველ წელს გვაძლია. წელს კი მევენახეობაში კარგად ვიმუშავეთ.

გამოირკვა, რომ თავმჯდომარის სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია.

წელს 5 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გაეშენებინათ, ამ სამუშაოს კი ჯერაც არ შესდგომიან. ამოსაღები 20.000 ძირი ნამყენი. არც ამოაათვის შეუწუხებიათ თავი. მწკრივთა შორის ხვნაზე და ვაზის ძირებთან ნიადაგის გამობარვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ტონობით ყრია ნაკელი. ჯერ მარტო ორი წლის ნაკელი 100 ტონამდე იქნება, კოლმეურნეობის მესვეურები კი მინდვრად მის გატანაზე რატომღაც არ ფიქრობენ, ამავე დროს გაიძახიან, რა ვქნათ ნაკელი არა გვაქვსო.

ამშვიათად შეხვდებით კოლმეურნეს, რომ ვაზის ძირებთან ნიადაგის გამოზარვაზე ან სასუქის შეტანაზე მუშაობდეს. ამიტომაც 2.150 ჰექტარი ვენახიდან მწკრივთა შორია ნიადაგი დამუშავებულია მხოლოდ 209 ჰექტარზე, ესეც მანქანა-ტრაქტორთა სადგურის საშუალებით. ვაზიი სანერგეებიდან ნამყენი ვაზის ამოღება და სადედეებიდან ლერწის აჭრა სრულიად უმნიშვნელო ოდენობით არის შესრულებული.

სასუქის შეტანა მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი სერიოზული ღონისძიებაა, მაგრამ ესეც დაივიწყეს. სოფლმომარაგების რაიონული განყოფილების საწყობებში სასუქები დიდი რაოდენობით არის დაგროვილი, ნაწილი იქვე მინდვრად ყრია და წვიმისაგან ფუჭდება. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები კი მათ გატანაზე არ ფიქრობენ.

რაიონში ხშირად გაიძახიან, რა ვქნათ, მუშახელი არ გვყოფნისო. სინამდვილეში ასე როდია. მაგალითად, ცხენთაროს კოლმეურნეობაში მესამე პერიოდში შრომადღეების საკვლებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია კოლმეურნეთა 78 პროცენტს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მშვენიერაძე კი ყურსაც არ აბერტყავს. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით. სულ რაიონში მესამე პერიოდში საკვლებულო მინიმუმი გამომუშავებული არა აქვს კოლმეურნეთა 25,7 პროცენტს, ნუთუ ეს არ აღელვებს პარტიის ზესტაფონის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებს?

მაიაკოვსკის რაიონმა წელს ვადაზე ადრე შეასრულა ახალი ვენახების გაშენების გეგმა. 1958 წლისათვის 75 ჰექტარი უნდა გააშენონ. ამისათვის რაიონში წინასწარ მოამზადეს ნიადაგი.



ვენახების ფართობი კოლმეურნეობებში (ჰექტარობით).



ყურძნის მოსავლიანობის ზრდა კოლმეურნეობებში (ცენტნერობით).

სამწუხაროდ, აქაც ზოგიერთი კოლმეურნეობა ვენახის მოვლა-პატრონობაში დაუდევრობას იჩენს. სოფელ დიმის სვირდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში საგრძნობლად შეასუსტეს ვენახის მოვლა, მობერებულ ვაზებს ახლით არ ცვლიან, არც სასუქი შეაქვთ. ამიტომ მოსავალი შემცირდა, საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

ზანტად მიმდინარეობს ვენახის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. ჯერაც არ დაუწყიათ ვაზის ძირების გამობარვა, ნიადაგის დამუშავება. ახალი ვენახის გასაშენებლად თავს არ იწუხებენ. ვენახის ფართობებში სასუქს ცუდად იყენებენ.

— მართალია ნიადაგი მოხნული არ არის,— აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე დ. კახიძე, — მაგრამ სამაგიეროდ რვა დღეზე მეტია, რაც მინერალური სასუქები მოვაბნიეთ მოუხნავ ნიადაგზე.

აი როგორ იყენებენ კოლმეურნეობაში სასუქს.

სოფელ დიმის სვირდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში ზოგან ვენახი მეჩხერია. შესავსებად საჭიროა 29 ათასი ძირი ვაზი. წლები გადის, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. სამაგიეროდ მეჩხერი ვენახების შესავსებად აagროწესებში „სიახლე“ გამოიჩინეს— ახალ გაშენებულ და მეჩხერ ვენახებში ყოველ წელს სიმინდს თესავენ. განა ამის შემდეგ შეიძლება ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაზე ვილაპარაკოთ!

მაიაკოვსკის რაიონში გათვალისწინებულია 1960 წლისათვის ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აიყვანონ 65 ცენტნერამდე, გააშენონ 250 ჰექტარი ახალი ვენახები. ზესტაფონის რაიონში მოსავლიანობა უნდა აიყვანონ ჰექტარზე 60 ცენტნერამდე და გააშენონ 700 ჰექტარი ახალი ვენახები. აქედან გასაგებია, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონებს, როგორც რესპუბლიკაში მევენახეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონებს. თუ აღებული ტემპით გაგრძელდება მუშაობა, მაშინ, ცხადია, ისინი ვერ შეასრულებენ მევენახეობის განვითარების საქმეში დასახულ ამოცანებს.

როგორც ზესტაფონის, ისე მაიაკოვსკის რაიონებში ყურძნის მოსავლის გადიდების დიდი შესაძლებლობა არსებობს. მხოლოდ საჭიროა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მევენახეობას.

შ. ჯოჯუა,
გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



საკოლმეურნეო მინდვრებზე ბეჯითი შრომაა გაჩაღებული. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზესტაფონის მტს-ის ტრაქტორისტი ი. ცხადაძე. იგი ვენახის მწკრივთა შორის ხვნის ყოველდღიურ დავალებას 140-170 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ტრაქტორისტი ი. ცხადაძე სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ვენახის მწკრივთა შორის ხვნის დროს.

ყურადღება ვაზის სელექციას

ვაზის მოსავლიანობის გადიდების ორი საშუალება არსებობს — აagროტექნიკური და სელექციური. ვაზს, ისევე როგორც სხვა ცოცხალ ორგანიზმს, ესაჭიროება ჰაერი, წყალი და საკვები. აერაცია და წყალი ნიადაგში მისი კარგად დამუშავებით შეიქმნება.

ზესტაფონის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვენახებს სათანადოდ არ უვლიან. ბევრგან ვენახი 10 წლისაა და ახალშენს ეძახიან. ზოგან ვაზი ან გაშხმარია, ან ისე სუსტი, რომ მოსავალს არ იძლევა. სასუქს მარტო ახალშენი კი არა, ყველა ასაკის ვაზი ითხოვს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამაზე არავინ ფიქრობს.

ვაზს გასხვლაც დროზე აჭირდება, მწვანე ოპერაციებს ჩატარებაც, ბორდოს ხსნარით შეწამვლაც. ვაზის გასხვლა, თუ ვენახი მდინარის პირას არ არის, შეიძლება ფოთლის დაცვენიდან დაწყებული მთელი ზამთრის განმავლობაში, მაგრამ უმჯობესია ადრე გაზაფხულზე, წვენის მოძრაობის დაწყებამდე.

მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონებში ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა და ოცხანური კარგ მოსავალს იძლევა. ამ ჯიშებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრახუნა. საჭიროა აღნიშნულ რაიონებში აღვადგინოთ კრახუნის ნარგავები და გავაშენოთ ციცქა, ცოლიკაური და ოცხანური.

საქართველოს სადგური სელექციურ მუშაობას ბევრ კოლმეურნეობაში ეწევა. ალავერდის ორჯონიკიძის, კვალითის ორჯონიკიძის სახელობის, საზანოს 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობები, თერჯოლის და არგვეთის საბჭოთა მეურნეობები კარგად გვიწყობენ ხელს ამ საქმეში. საჭიროა სელექციონერთან მჭიდრო კავშირში ვიმუშაოთ ვაზის ჯიშთა გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ვენახების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ყველა კოლმეურნეობაში უნდა ვაწარმოოთ არა მარტო მასობრივი სელექცია, არამედ არსებული ატანდარტული ვაზის ჯიშების გაუმჯობესება და ახალი ვაზის ჯიშების გამოყვანა. ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. მიჩურინი გვასწავლის, რომ თუ გვსურს გავადიდოთ მოსავლიანობა ყველა პირობებში ადგილზე უნდა გამოვიყვანოთ ახალი, გაუმჯობესებული ჯიშები.

ა. მირზოტაძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ინდოეთის პრესა მშვიდობის მანიფესტის შესახებ

დელი, 27 ნოემბერი. (საკდესი). კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის დოკუმენტებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ინდოეთის საზოგადოებრიობაზე.

კომენტარს უკეთებს რა თათბირების შედეგებს, გაზეთი „სვადჰინატა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თათბირები ახალ ეპოქას ქმნიან კაპიტალიზმისა და მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში. მშვიდობის მანიფესტმა, წერს გაზეთი, მოუწოდა მსოფლიოს ყველა ხალხს — მოაწყონ მთელ მსოფლიოში მოძრაობა ომის წინააღმდეგ, თერმოატომგულის იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, სამხედრო კავშირებისა და სხვა ქვეყნებში სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, კოლექტიური უშიშროებისა და კულტურული თანამშრომლობისათვის.

გაზეთი „ნავჯივანი“, რომელიც ლაკნაუში გამოდის, წერს: „ადამიანები, რომელთაც სწამთ თანაარსებობის პრინციპი, მხურვალედ მიესალმებიან ამ მანიფესტს“.

კალკუტის გაზეთი „ჯუგანტარი“ აგრეთვე აღნიშნავს, თუ რა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის მანიფესტს.

ამერიკის ბაღისფიკური რაკეტის გამოცდა წარუმატებლად დამთავრდა

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 26 ნოემბერს კეიპ-კანავერალის პოლიგონზე (ფლორიდის შტატი) მოხდა საშუალო სიშორის მოქმედების ბალისტიკური რაკეტის „იუპიტერის“ გამოცდა, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა.

ცნობაში ნათქვამია, რომ რაკეტი „ტექნიკური უწესივრობის გამო“ ასცდა გათვალისწინებულ კურსს.

ამერიკელ ჯარისკაცთა უსგავსობა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს დასავლეთ გერმანიაში ამერიკის სამხედრო მოსამსახურეებმა ბევრი ხელიგნური გამოხდომა მოაწყეს გერმანელი მოსახლეობის მიმართ.

როგორც ადნის საგენტო იუწყება, აუგსბურგში ამერიკელმა ჯარისკაცმა დანით დაჭრა დასავლეთგერმანელი პოლიციელი.

24 ნოემბერს ამავე ქალაქში ამერიკელ ჯარისკაცთა ჯგუფი თავს დაესხა გერმანელს და მძიმე ჭრილობა მიაყენა.

ქალაქ ლანდშტულის ერთ-ერთ რესტორანში ამერიკელებმა ჩხუბი აატეხეს, რომლის შედეგადაც რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები დაჭრა.

ამერიკის ჯარების მოსამსახურეები უგულებელყოფენ ქუჩაში მიმოსვლის წესებს, რაც იწვევს ბევრ საავტომობილო კატასტროფას დასავლეთ გერმანიაში.

ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის განცხადება კვიპროსის საკითხზე

ლონდონი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის აღმასკომმა დღეს გამოაქვეყნა განცხადება კვიპროსის საკითხზე. განცხადება მოუწოდებს მთავრობას გამოიჩინოს ახალი ინიციატივა და გადაჭრას ჩიხში მომწყვდეული კვიპროსის პრობლემა კუნძულს მოსახლეობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გზით. განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ახლანდელი ჩიხი კონსერვატორთა პოლიტიკის ჩაფუშვას მოასწავებს“.

ალბანელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

13 წლის წინათ ალბანეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის (ამჟამად ალბანეთის შრომის პარტია) ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა საბჭოთა არმიის მიერ გერმანიის ჯარების განადგურებით შექმნილი პირობები, გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ფაშიზმის წინააღმდეგ და მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას— განთავისუფლდნენ ოკუპანტებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ბატონობის უღლისაგან. თავიანთ ხელში აიღეს პოლიტიკური ძალაუფლება და დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება.

ალბანელი ხალხი საუკუნეების განმავლობაში იტანჯებოდა უცხოელთა ბატონობით.

1944 წლის 29 ნოემბრის სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ განახორციელა ალბანეთის მშრომელთა საუკუნეობრივი მისწრაფება, ბოლო მოუღო ალბანელი ხალხის ჩაგვრასა და ექსპლოატაციას. წარმოების საშუალებანი, მთელი ქვეყნის დოვლათი მშრომელების ხელში გადავიდა. განხორციელდა ძირითადი სოციალური გარდაქმნები.

განთავისუფლებამდე ალბანეთი ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. უცხოელი კოლონიზატორები აბრკოლებდნენ ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უანგარო დახმარების შედეგად ალბანეთის ხალხის ცხოვრებაში ღრმა რევოლუციური გარდაქმნები მოხდა. ალბანეთის მშრომელებმა დროის მცირე მონაკვეთში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკის აღმავლობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების დარგში და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში ამჟამად ალბანეთის სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სექტორი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელ ძალას და სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების მატერიალურ საფუძველს ვაჭრობა სახელმწიფოსა და კოოპერაციის ხელშია წარმატებით შესრულდა სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი (1948-1950) და ხუთწლიანი (1951-1955) გეგმები.

ყარმოებით ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმა უზრუნველყო ალბანეთის საწარმოო ძალთა დიდი განვითარება. რის შედეგადაც მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული მრეწველობის დარგში. საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში აგებულ იქნა ათობით დიდი სამრეწველო ობიექტი. ამჟამად სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1938 წელთან შედარებით 11,5-ჯერ გადიდდა.

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ალბანელ მშრომელებს სოფლის მეურნეობაში. 1956 წლის დამლეგს 1938 წელთან შედარებით ნათესი ფართობი შეადგენდა 175 პროცენტს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება კი — 160 პროცენტს. 1956 წელს მარცვლეულის წარმოება 1938 წელთან შედარებით გადიდდა 154 პროცენტით, ტექნიკური კულტურებისა კი — 502 პროცენტით.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას. ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების საფუძველზე და მის მექანიზაციას თუ 1955 წლის დასაწყისში ალბანეთში ითვლებოდა სულ 150 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, ამჟამად კოოპერატივების რიცხვი 1.000-მდე გაიზარდა.

განთავისუფლებამდე ალბანეთის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მშრომელთა შვილებს არ ჰქონდათ სწავლის საშუალება. ამჟამად კი მათ სწავლისათვის შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობები. განხორციელებულია ბავშვების საყოველთაო სავალდებულო სწავლება. გაიზარდა სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბებისა და კინოთეატრების ქსელი.

ალბანეთში კულტურის ყველა საშუალება ხალხთა მასების სოციალისტურად აღზრდას ემსახურება. წარმოიშვა და განვითარდა ალბანეთის ახალი ინტელიგენცია, რომელიც მთელ თავის ცოდნას ახმარს სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა. ლიკვიდირებულია უმუშევრობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მტკიცდება მუშათა და გლეხთა კავშირი. პირველი ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 70 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გაიზარდა 20 პროცენტით, ხოლო გლეხთა შემოსავალი გადიდდა დაახლოებით 35 პროცენტით. უკანასკნელ წლებში ფართო მოხმარების საგნების საცალო ფასები ხუთჯერ შემცირდა.

რესპუბლიკის დიდი მიღწევები სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში ალბანელი ხალხის თავდადებული შრომის, სახალხო-დემოკრატიული წყობილების უპირატესობისა და საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მძლავრი მხარდაჭერისა და უანგარო დახმარების შედეგია. საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ალბანეთს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის აწვდიან მანქანებს, ელექტროსადგურების, ფაბრიკებისა და ქარხნების მოწყობილობას, ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვ. ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ ალბანელ მეგობრებს საბჭოთა მეცნიერები და სპეციალისტები.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ალბანეთის ხალხის ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ფუშავს რა ახალი ომის გამჩაღებელთა ხრიკებს, ალბანელი ხალხი, სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად, გაბედულად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო მასშტაბით მშვიდობის დაცვის ყველა ღონისძიებაში. ალბანეთის მთავრობა განამტკიცებს ძმურ მეგობრულ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან.

ეროვნული დღესასწაულის დღეს საბჭოთა ადამიანები სულით და გულით ესურვებენ მოძმე ალბანელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში

გ. ჩიბურდანიძე.

სურათზე: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ტირანა.

ფოტო ვ. ზაროვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კოლონიალისტების ახალი დამარცხება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა ინდონეზიის პოზიციას დასავლეთ ირიანის საკითხში

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ კოლონიალისტთა ბლოკი, რომელსაც მხარს უჭერენ და აქეზებენ ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში სერიოზულად დამარცხდა. მიუხედავად კოლონიურ სახელმწიფოთა მთელი წინააღმდეგობისა, პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუციის პროექტი დასავლეთ ირიანის საკითხზე, რომელიც ინდონეზიამ და 18 სხვა ქვეყანამ (ავღანეთი, ბოლივია, ბირმა, ცეილონი, ეგვიპტე, ეთიოპია, ინდოეთი, ერაყი, იორდანია, ლიბანი, მაროკო, ლიბია, ნეპალი, საუდის არაბეთი, სირია, სუდანი, ტუნისი და იემენი) წარმოადგინეს. რეზოლუციის მიზანია დასავლეთ ირიანის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება. რეზოლუციაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება, რომ პოლიტიკური დავა ამ საკითხზე, რაც გრძელდება, საფრთხეს უქმნის მშვიდობას ამ რაიონში. ორივე მხარეს წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ გადადგან ნაბიჯი პრობლემის გადაჭრელად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წეს-დების პრინციპების საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წინადადება ეძლევა დახმარება გაუწიოს მხარეებს ამ რეზოლუციის შესრულებაში და შედეგი მოახსენოს გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე.

პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომებზე კოლონიალისტთა ბლოკის წარმომადგენლებმა სცადეს ხელი შეეშალათ ამ რეზოლუციის მიღებისათვის. ინგლისის დელეგატი ნობლი, აყალიბებდა რა კოლონიურ სახელმწიფოთა საერთო პოზიციას, ამტკიცებდა, რომ დასავლეთ ირიანის საკითხი თითქოს საერთოდ არ არსებობს, რომ დავა დასავლეთ ირიანზე თითქოს შექმნილია ხელოვნურად და „იურიდიული“ ხასიათი აქვს და არ შეიძლება იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განხილვის საგანი.

კოლონიალისტების ხელშემწყობთა როლი შეასრულეს ჩანკაიშელმა, აგრეთვე დომინგოს რესპუბლიკის დელეგატმა.

ინდონეზიის პოზიციისა და 19 სახელმწიფოს რეზოლუციის მხარდასაჭერად გამოვიდნენ სირიის, ერაყის, ინდოეთისა და პაკისტანის დელეგატები.

ფარიდ ზეინ ედ-დინმა (სირია) ცხადყო ფარისევლობა დემაგოგიისა, რასაც მიმართეს კოლონიურმა სახელმწიფოებმა. მაგალითად, ჰოლანდია და ავსტრალია ხელს უშლიან დასავლეთ ირიანის შეერთებას ინდონეზიასთან და თვითგამორკვევაზე ლაპარაკობენ.

ამავე დროს მკვიდრი მოსახლეობა ჩამორჩენილობის დამოწმებით ისინი ამართლებენ ხალხის ნამდვილი თვითგამორკვევის განხორციელებაზე უარისთქმას. „თვითგამორკვევა“ მათი გაგებით ნიშნავს მხოლოდ შესაძლებლობას, რომ ჰოლანდიამ და ავსტრალიამ თვითონ გამოარკვინონ დასავლეთ ირიანის ბედი. ამხილა რა ცდები გაემართლებინათ ჰოლანდიის პოზიცია, ზეინ ედ-დინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰოლანდია არაფერს არ აკეთებს დაძაბულობის შესანელებლად, რასაც ჭქმნის ის, რომ მას არა სურს ხელი აიღოს ინდონეზიის ტერიტორიის ამ ნაწილისადმი ბატონობაზე.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, თქვა ერაყის დელეგატმა ჰაშიმ ჯავადმა, მოითხოვს დასავლეთ ირიანის საკითხის მშვიდობიან და სამართლიან გადაჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებით. ჯავადმა მკვეთრად გააკრიტიკა ჰოლანდიის პოზიცია, რომელიც, თქვა მან, განსახილველ საკითხს უდგება მაოკუპირებელი სახელმწიფოს პოზიციიდან.

დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვა, თქვა ინდოეთის დელეგატმა კრიშნა მენონმა, დაკავშირებულია კოლონიური ბატონობისაგან ინდონეზიის განთავისუფლების დამთავრებასთან. მენონმა ცხადყო კოლონიურ სახელმწიფოთა დელეგაციების ცდების უსაფუძვლობა — დასავლეთ ირიანის საკითხი წარმოადგინონ როგორც ინდონეზიის ამ ნაწილის მოსახლეობის თვითგამორკვევის პრობლემა. არ არსებობს არავითარი ლოგიკური, ეთნიკური, ან იურიდიული არგუმენტი, განაცხადა მენონმა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ინდონეზიას დაამთავროს თავისი განთავისუფლება კოლონიალიზმისაგან და გახდეს სავსებით დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

პაკისტანის დელეგატმა შაჰმ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს 19 სახელმწიფოს რეზოლუციას დასავლეთ ირიანის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ანიაა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირმა, რომლის წარმომადგენელი ი. ვ. პეიევი პოლიტიკურ კომიტეტში გამოვიდა 20 ნოემბერს, მოუწოდა — დაუყოვნებლივ გადაიჭრას დასავლეთ ირიანის საკითხი.

საბჭოთა დელეგაციის პოზიცია განსახილველ საკითხში, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, იმ უდავო ფაქტს ეშყარება, რომ ინდონეზიის რესპუბლიკის სუვერენიტეტი დასავლეთ ირიანზე ვერავითარ ეჭვს ვერ გამოიწვევს. საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს ინდონეზიის კანონიერ მოთხოვნას, რომ დასავლეთ ირიანი შეუერთდეს თავის სამშობლოს — ინდონეზიას.

პოლიტიკურმა კომიტეტმა ხმის უმრავლესობით მიიღო „19 სახელმწიფოს რეზოლუციის“ პროექტი. პროექტმა მიიღო 42 ხმა (ავღანეთი, ალბანეთი, ბოლივია, ბულგარეთი, ბირმა, ბელორუსიის სსრ, ცეილონი, კოსტარიკა, ჩეხოსლოვაკია, ეგვიპტე. სალვადორი, ეთიოპია, განა, საბერძნეთი, გვატემალა, ჰაიტი, უნგრეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ერაყი, იაპონია, იორდანია, ლაოსი, ლიბანი, ლიბია, მალაია, მაროკო, ნეპალი, პაკისტანი, ფილიპინები, პოლონეთი, რუმინეთი, საუდის არაბეთი, სუდანი, სირია, ტაილანდი, ტუნისი, უკრაინის სსრ, საბჭოთა კავშირი, იემენი, იუგოსლავია).

კოლონიური სახელმწიფოების დელეგაციებმა (მათ შორის ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის დელეგაციებმა), შიუხედავად მთელი მათი ცდისა მოეგროვებინათ ხმები — ამერიკის შეერთებული შტატების ფარული მხარდაჭერით და მფარველობით შეაგროვეს სულ 28 ხმა.

11 დელეგაციამ, მათ შორის თურქეთმა, ფინეთმა, მექსიკამ და ლათინური ამერიკის ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ, კენჭისყრაში თავი შეიკავა. თავი შეიკავა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ.

საზეიმო სხდომა ჭირანაში

ტირანა, 27 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების 45 წლისთავისა და ფაშისტური მონობისაგან ალბანეთის განთავისუფლების მე-13 წლისთავის გამო ტირანაში გაიმართა საზეიმო სხდომა.

სხდომას დაესწრნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეტ შეჰუ და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. სტუმრებს შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დელეგაციის წევრები, სსრ კავშირის ელჩი ალბანეთში ვ. ი. ივანოვი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჰაჯი ლეშემ.

სხდომაზე გამოვიდნენ ალბანეთის მუშათა კლასის, დემოკრატიული ფრონტის, ახალგაზრდათა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ფინური გაზეთების მთავარ რედაქტორთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად ფინური გაზეთების მთავარ რედაქტორთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გაზეთ „ჰელსინგინ სანომატის“ მთავარი რედაქტორი იურიე ნინინლუოტო.

დელეგაცია გაემგზავრა რესპუბლიკის მეეენახეობის უდიდეს ცენტრში — თელავის რაიონში. იგი ეწვია სოფელ წინანდალს. სტუმრებმა ინტერესით დათვალიერეს სოფელში გაშენებული განთქმული დეკორაციული პარკი, გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, პოეტის ქალიშვილის ნინო და ციძის — დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის აქ ყოფნასთან დაკავშირებული ადგილები. შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ წინანდლის ლენინის ორდენოსან მეეენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც დაწვრილებით გაეცნენ ფართოდ ცნობილი კახური ღვინოებია დაყენების ტექნოლოგიას.

სტუმრებმა განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიჩინეს სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის ცხოვრებისადმი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძამუკაშვილთან საუბარში ისინი დაინტერესდნენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის პრინციპებით, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სისტემით, სოფლის მშრომელთა შემოსავლით, ცხოვრებით. დელეგაციის წევრებმა შეიტყეს, რომ მარტო მეეენახეობამ კოლმეურნეობას წელს 5 მილიონ მანეთამდე შემოსავალი მისცა. კოლმეურნეები შრომადღეს იღებენ 17 მანეთს ფულად, 6 კილოგრამ მარცვლეულს და სოფლის მეურნეობის ბევრ სხვა პროდუქტს. საუბრის შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი — კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა. შემდეგ ისინი ეწვივნენ კოლმეურნე ვ. ბახსოლიანს სახლში. მასპინძლებმა სადილად მიიწვიეს საპატიო სტუმრები.

ფინეთის აგრარული კავშირის ორგანოს გაზეთ „მააკანსას“ რედაქტორმა პენტი სორვალმა მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნეობის მიღწევებს.

ფინური გაზეთების მთავარი რედაქტორები იყვნენ მთაწმინდაზე — საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ხელოვნების სახელმწიფო ძეგლებში სტუმრებს უჩვენეს ქართული ეროვნული სახვითი ხელოვნების ექსპონატები.

28 ნოემბერს დღისით ფინელი ჟურნალისტების დელეგაცია მოსკოვს წავიდა. თბილისის აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქდესის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა ჯ. გ. მაისურაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. კ. კელენჯერიძემ, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ს. ფირცხალავამ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ დ. გ. სტურუამ, რესპუბლიკური გაზეთების, ჟურნალების, საქდესისა და რადიოს თანამშრომლებმა. (საქდესი).

ეკრანზეა ახალი უნგრული ფილმი

ახალი უნგრული მხატვრული ფილმი „ორი აღიარება“, რომელსაც „მოსკოვი“ ეკრანებზე უჩვენებთ, წარმოადგენს ოფიციალურ ფიქციონალურ ლეგენდას ომის შედეგად უდედმამოდ დარჩენილი ახალგაზრდობის იმ ყველაზე მერყეევი ნაწილის შესახებ, რომელიც სხვადასხვა გაჭირვების გამო მორალურად გაიხრწნა და ბანდიტიზმის გზას დაადგა. ფილმი მოგვითხრობს აგრეთვე უნგრეთის სისხლის სამართლის სამძებრო ორგანოების მუშაკებზე, რომლებიც თავდადებული მუშაობით ეხმარებიან სწორი გზიდან აცდენილ ახალგაზრდა ადამიანებს ისევნონ ნამდვილი გზა ცხოვრებაში.

ფილმი, რომლის სცენარი ეკუთვნის დიერდ ბამოშს, გაბორ ტურზოს, მარტონ კელეტის და კატალინ ტიმარს, დადგა თვალსაჩინო უნგრელმა კინორეჟისორმა მარტონ კელეტიმ (უნგრეთის კინოსტუდია „ბუნიას“ 1957 წლის გამოშვება). მთავარ როლებში მონაწილეობენ მსახიობები მარი ტერეზია, ტიბორ ჩეგერი, მარიანა კრენნერი, ლაიოშ ეზე, ენდრე დიარფაში და სხვები.

უნგრული მხატვრული ფილმი „ორი აღიარება“ **რუსულ ენაზე დუბლირებულია მ. გორკის სახელობის კინოსტუდიაში. დუბლაჟის რეჟისორია ე. ჯოლკ, ხოლო ხმის ოპერატორი ნ. კრატენკოვა.**

სურათზე: კადრი ფილმიდან „ორი აღიარება“.

სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მეცნიერების სამმართველომ და სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელმა სადგურმა სოხუმში მოაწყეს სამეცნიერო-საწარმოო სესია, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების, საწარმოების წარმომადგენლები. მოსმენილ იქნა მოხსენებები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ა. გოგიბერიძისა — „სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები და შემდგომი ამოცანები“; პროფესორ ფ. მამფორიასი — „ციტრუსოვანი კულტურების ფორმათა წარმოშობის ექსპერიმენტული მაღალი ეფექტი“; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ნადარაიამ, დოცენტებმა ე. ერისთავმა, გ. ბადრიშვილმა, ი. გიორგიბერიძემ, მ. დედაბრიშვილმა, შ. ჯალაღანიამ, ლ. ზოდელავამ.

გ. მინდაძე.



გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობაში კომუტატორი მოაწყეს. მეცხოველეობის ფერმებში; კოლმეურნეთა ოჯახებში 84 წერტილ დადგეს. დამატებით კიდევ დაიდგმება 40 წერტილ. სურათზე: ტელეფონისტი ს. ხეჩოშვილი დეპეშის მიღების დროს.

ფოტო შ. გოკაძისა.

„წიწამური“

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „წიწამური“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. მეძმარიაშვილმა, მხატვრულად გააფორმა დ. ბალარჯიშვილმა. მუსიკა ეკუთვნის შ. კიკვიძეს.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ლექცია

29 ნოემბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ქუჩა-ხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში (ლენინის ქუჩა, 35) შედგება ლექცია თემაზე: „მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები“.

• • •

30 ნოემბერს დილის 10 საათზე მოწვეულია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მეოთხე პლენუმი აქტივთან ერთად.

პლენუმი გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

რედაქტორის მოადგილე დ. სტურუა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ოტელო (ახალი სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — ნორა, **სომხური დრამის** — სამეული, **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — რობინ ჰუდი (აბონემენტი № 17, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული**— ჩემებიანი კატა (10 ს და 1 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ზენიცა, **ამირანი** (საზამთრო) — დები, **სპარტაკი** — რომი 11 საათზე, **თბილისი, კომკავშირელი**— წყნარი დონი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლხიდა** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ორი აღიარება, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კომუნარების ბაღი, ხარეზაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** და **ცენტრალური კულტურის სახლი** — ოქროს ობობა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კოლმეურნე, უაზბეგი** — ქალის ტვირთი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის საბაფხულო კლუბი, კიროვის სახელობის პარკი** — შორეულ კუნძულზე.

მოქალაქე **ლუიზა ანდრიას ასულმა აბაშიძემ,** მცხოვრებმა მაშხალია შეიახ. № 14, აღძრა საქმე ინგენერა ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი ვიქტორის-ძე აბაშიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილი გრიგოლ, ძმა გაბო, დები ეფროსინე, ლიზა, რძლები პუპლა, ცაცა ოჯახებით იუწყებიან

სისო გრიგოლის-ძე კვაჭატაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 4 ს. ძველრის ქ. № 10.

მეუღლე სიმონ, შვილები თამარ, ალექსი, ანდრო, რძლები ლეილა, ნელი ლეკიაშვილები; ასმათ ლეკიაშვილი იუწყებიან

ეკატერინე გიორგის ასულ ლეკიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 3 ს. ფურცელაძის ქ. № 13.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი იუწყება

სილოვან საჩინოს-ძე თოფურიას

გარდაცვალებას.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები გიორგი, ვერა, თამარ, რძალი დარეჯან, სიძე ს. ჩაკვეტაძე იუწყებიან

ელისაბედ ალექსის ასულ ხომერიკი-რუსეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII სოფელ მერიაში (მახარაძის რ.).

მეუღლე ციბულა, შვილები გივი, სონია, მარიამ, ალექსანდრე, ოლია, რძლები თამარ, ეთერ, სიძეები გ. გოგილაშვილი, ვ. ჩადუნელი შვილებით იუწყებიან

დიომიდე ყარამანის-ძე გუმბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII სოფელ როდინოულში (ზეკატაფხის რ.).

მეუღლე ოქროპირ, შვილები თამარ, ნიკოლოზ, შაქრო, შოთა, ოჯახებით იუწყებიან

ქეთევან ივანეს ასულ ელიავა-ომნაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-XII, 5 ს. სოფელ შუხუთში (ლანჩხუთის რ.).

შვილები ტასო, დავით, გუგული, რუსუდან, რძალი ეკატერინე, სიძეები ა. დუმბაძე, ლ. კორძაია, სოსო და არჩილ ფანცხავები იუწყებიან

ანეტა როსტომის ასულ ამაშუკელი-ფანცხავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 2 ს. წულუკიძის ქ. № 8.

მეუღლე ნინო, შვილები ელენე, თამარ, სიძეები ვ. ბარსკი, ს. გობეჯიშვილი, რძლები შორა, ეთერ ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრე ილარიონის-ძე კარგარეთელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 3 ს. ვერხარნის ქ. № 19.

მშობლები ეკატერინე, ილია, დები თინათინ, ელენე, გულიკო, ნუშა, ძმები მიხეილ, გურამ, სიძეები გ. ქართველიშვილი, თ. ახალაცი, დ. ეგნატაშვილი იუწყებიან

ირაკლი ილიას-ძე ლაბაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, 3 ს. სოფელ კაკალეთხევში (ხაშურის რ.).

მეუღლე სალომე, შვილები საშა, სერგო, ნუნუ, რძლები ქენია ჩხეიძე, შორა შენგელია შვილებით იუწყებიან

გიორგი კონსტანტინეს-ძე ცომაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII სოფელ კულაშში (სამტრედიის რ